მცხეთის მუნიციპალიტეტის 2026 წლის ბიუჯეტის 6 თვის შესრულების ანგარიში

2026 წელი

მცხეთის მუნიციპალიტეტის 2026 წლის ბიუჯეტის 6 თვის შესრულების კვარტალური მიმოხილვა მომზადებულია საქართველოს საბიუჯეტო კოდექსის გათვალისწინებით და მოიცავს შემოსულობების, გადასახდელების, ნაშთის ცვლილებისა და მთლიანი სალდოს ფაქტობრივი მოცულობების შედარებას შესაბამისი პერიოდის გეგმიურ მაჩვენებლებთან.

I. მცხეთის მუნიციპალიტეტის 2026 წლის ბიუჯეტის 6 თვის შესრულების მაჩვენებლები

ათასი ლარი

დასახელება	2026 წლის 6 თვის გეგმა			2026 წლის 6 თვის ფაქტი		
	სულ	მათ შორის		სულ	მათ შორის	
		საკუთარი შემოსავლები	სახელმწიფო ბიუჯეტი		საკუთარი შემოსავლები	სახელმწიფო ბიუჯეტი
I. შემოსავლები	**30,675.8**	**29,022.2**	**1,653.6**	**36,704.1**	**36,061.9**	**642.3**
გადასახადები	23,922.2	23,922.2	-	27,150.3	27,150.3	-
გრანტები	1,653.6	-	1,653.6	642.3	-	642.3
სხვა შემოსავლები	5,100.0	5,100.0	-	8,911.6	8,911.6	-
II. ხარჯები	**31,891.2**	**30,094.5**	**1,796.8**	**22,015.5**	**21,068.4**	**947.2**
შრომის ანაზღაურება	3,388.0	3,388.0	-	2,914.1	2,914.1	-
საქონელი და მომსახურება	7,734.2	6,103.6	1,630.6	4,459.3	3,666.5	792.8
სუბსიდიები	17,258.0	17,102.1	156.0	13,022.5	12,876.6	145.8
გრანტები	72.0	72.0	-	69.0	69.0	-
სოციალური უზრუნველყოფა	799.6	799.6	-	739.5	739.5	-
სხვა ხარჯები	2,639.4	2,629.1	10.2	811.1	802.5	8.6
III. საოპერაციო სალდო	**- 1,215.4**	**- 1,072.3**	**- 143.2**	**14,688.6**	**14,993.5**	**- 304.9**
IV. არაფინანსური აქტივების ცვლილება	**25,809.4**	**21,399.1**	**4,410.3**	**2,401.9**	**1,330.1**	**1,071.8**
ზრდა	25,809.4	21,399.1	4,410.3	5,882.6	4,810.7	1,071.8
კლება	-	-	-	3,480.7	3,480.7	-
V. მთლიანი სალდო	**-27,024.8**	**- 22,471.4**	**- 4,553.4**	**12,286.7**	**13,663.4**	**-1,376.7**
VI. ფინანსური აქტივების ცვლილება	**- 27,024.8**	**- 22,471.4**	**- 4,553.4**	**12,286.7**	**13,663.4**	**-1,376.7**
ზრდა	**-**	**-**	-	**13,663.4**	**13,663.4**	**-**
ვალუტა და დეპოზიტები	-	-	-	13,663.4	13,663.4	-
კლება	**27,024.8**	**22,471.4**	**4,553.4**	1,376.7	**-**	**1,376.7**
ვალუტა და დეპოზიტები	27,024.8	22,471.4	4,553.4	1,376.7	-	1,376.7
VIII. ბალანსი	**0.0**	**0.0**	**0.0**	**0.0**	**0.0**	**0.0**

მცხეთის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის შემოსულობები, გადასახდელები და ნაშთის ცვლილება

ათასი ლარი

დასახელება	2026 წლის 6 თვის გეგმა			2026 წლის 6 თვის ფაქტი		
	სულ	მათ შორის		სულ	მათ შორის	
		საკუთარი შემოსავლები	სახელმწიფო ბიუჯეტი		საკუთარი შემოსავლები	სახელმწიფო ბიუჯეტი
შემოსულობები	**30,675.8**	**29,022.2**	**1,653.6**	**40,184.8**	**39,542.5**	**642.3**
შემოსავლები	30,675.8	29,022.2	1,653.6	36,704.1	36,061.9	642.3
არაფინანსური აქტივების კლება	-	-	-	3,480.7	3,480.7	-
გადასახდელები	**57,700.6**	**51,493.6**	**6,207.0**	**27,898.1**	**25,879.1**	**2,019.0**
ხარჯები	31,891.2	30,094.5	1,796.8	22,015.5	21,068.4	947.2
არაფინანსური აქტივების ზრდა	25,809.4	21,399.1	4,410.3	5,882.6	4,810.7	1,071.8
ნაშთის ცვლილება	**-27,024.8**	**- 22,471.4**	**- 4,553.4**	**12,286.7**	**13,663.4**	**-1,376.7**

2026 წლის 1 იანვრის მდგომარეობით საბიუჯეტო ანგარიშზე ნაშთი მთლიანობაში 72 178,1 ათას ლარს შეადგენდა.

საანგარიშო პერიოდში ბიუჯეტში ნაშთის ცვლილების სახით ასახულ იქნა 62 410,6 ათასი ლარი, ფულადი სახსრების დაგროვებამ შეადგინა 12 286,7 ათასი ლარი.

ინფორმაცია მცხეთის მუნიციპალიტეტის 2026 წლის ბიუჯეტის შემოსულობების 6 თვის შესრულების შესახებ

მცხეთის მუნიციპალიტეტის 2026 წლის ბიუჯეტის 6 თვის **შემოსულობების** (შემოსავლები, არაფინანსური აქტივები, ფინანსური აქტივები, ვალდებულებების ზრდა) გეგმა განისაზღვრა **30 675,8** ათ.ლარით, ფაქტობრივმა შესრულებამ შეადგინა **40 184,3** ათ.ლარი, ანუ გეგმის 131% (დანართი N1).

ათასი ლარი

შემოსავლის სახეები	2026 წლის 6 თვის გეგმა	2026 წლის 6 თვის საკასო შესრულება	სხვაობა +/-	შესრულება, %
შემოსულობები	**30,675.8**	**40,184.8**	**9,509.0**	**131.0**
შემოსავლები	30,675.8	36,704.1	6,028.3	119.7
არაფინანსური აქტივების კლება	-	3,480.7	3,480.7	-

შემოსავლები

მცხეთის მუნიციპალიტეტის 2026 წლის ბიუჯეტით განსაზღვრული შემოსავლების 6 თვის (გადასახადები, გრანტები, სხვა შემოსავლები) გეგმა 30 675,8 ათასი ლარი, ფაქტობრივად 36 704,1 ათასი ლარით შესრულდა, რამაც გეგმის 119,7% და მთლიანი შემოსულობების (40 184,8 ათასი ლარი) - 91,3% შეადგინა.

1. გადასახადების სახით ბიუჯეტში მთლიანობაში მობილიზებულია 27 150,3 ათასი ლარი და წინა წლის ანალოგიურ მაჩვენებელთან შედარებით (ფაქტი - 22 936,0 ათასი ლარი) მიმდინარე პერიოდში 4 214.3 ათასი ლარით მეტი შემოსავალია მიღებული, მათ შორის:

ქონების გადასახადიდან საანგარიშო პერიოდში მიღებულია 17 662,1 ათასი ლარი, მათ შორის: საწარმოთა ქონების გადასახადიდან (გარდა მიწისა) მიღებულია 17 226,3 ათასი ლარი, უცხოურ საწარმოთა ქონებაზე (გარდა მიწისა) 34.4 ათასი ლარი, ფიზიკურ პირთა ქონებაზე გადასახადიდან (გარდა მიწისა) - 22,4 ათასი ლარი, ხოლო მიწაზე ქონების გადასახადიდან - 379,0 ათასი ლარი.

წინა წლის ანალოგიურ მაჩვენებელთან (2025 წლის ფაქტი - 15 588,7ათასი ლარი) შედარებით ქონების გადასახადიდან 2 073,4 ათასი ლარით მეტი შემოსავალია მიღებული, რაც ძირითადად საწარმოთა ქონების გადასახადზე (გარდა მიწისა) მოდის (2025 წლის 6 თვის ფაქტი - 15 209,7 ათასი ლარი).

დამატებული ღირებულების გადასახადიდან მიღებულია 9 488,2 ათასი ლარი, რაც წინა წლის ანალოგიურ მაჩვენებელთან (ფაქტი - 7 347,3 ათასი ლარი) შედარებით 2 140,9 ათასი ლარით მეტი შემოსავალია მიღებული.

ათასი ლარი

შემოსავლის სახეები	**2026 წლის 6 თვის გეგმა**	**2026 წლის 6 თვის საკასო შესრულება**	**სხვაობა +/-**	**შესრულება, %**
გადასახადები, მათ შორის:	**23,922.2**	**27,150.3**	**3,228.1**	**113.5**
დამატებითი ღირებულების გადასახადი	**8,764.2**	**9,488.2**	**724.0**	**108.3**
ქონების გადასახადი	**15,158.0**	**17,662.1**	**2,504.1**	**116.5**
საწარმოთა ქონებაზე	15,000.0	17,226.3	2,226.3	114.8
უცხოურ საწარმოთა ქონებაზე	-	34.4	34.4	-
ფიზიკურ პირთა ქონებაზე	8.0	22.4	14.4	279.8
სასოფლო სამეურნეო დანიშნულების მიწაზე	50.0	47.8	- 2.2	95.6
არასასოფლო სამეურნეო დანიშნულების მიწაზე	100.0	331.2	231.2	331.2

2. გრანტები

საანგარიშო პერიოდში გრანტების სახით ჩარიცხულია **მიზნობრივი ტრანსფერი** - 642,3 ათასი ლარი, მათ შორის: „საზოგადოებრივი ჯანმრთელობის შესახებ“ საქართველოს კანონით განსაზღვრული უფლებამოსილების განსახორციელებლად - 237,5 ათასი ლარი, საჯარო სკოლების მოსწავლეების ტრანსპორტით უზრუნველყოფისთვის (მთავრობის განკარგულება N2260 24.12.25წ.) - 342,5 ათასი ლარი; სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის, ილია II-ის გარდაცვალებასთან დაკავშირებით მოსახლეობის ტრანსპორტით უზრუნველყოფისთვის (მთავრობის განკარგულება N589 20.03.26წ.) - 11.8 ათასი ლარი, მუნიციპალიტეტების მიერ

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ნაწილობრივი რეაბილიტაციის უზრუნველყოფისთვის - 50,5 ათასი ლარი (მთავრობის განკარგულება N2260 24.12.25წ.).

ათასი ლარი

შემოსავლის სახეები	2026 წლის 6 თვის გეგმა	2026 წლის 6 თვის საკასო შესრულება	სხვაობა +/-	შესრულება, %
გრანტები (ტრანსფერები), მათ შორის:	**1,653.6**	**642.3**	**- 1,011.3**	**38.8**
მიმდინარე, მათ შორის:	**1,203.1**	**591.8**	**- 611.3**	**49.2**
მიზნობრივი ტრანსფერი	1,203.1	591.8	- 611.3	**49.2**
კაპიტალური, მათ შორის:	**450.5**	**50.5**	**- 400.0**	**11.2**
კაპიტალური ტრანსფერი	50.5	50.5	-	**100.0**
სოფლის მხარდაჭერის პროგრამა	400.0		- 400.0	-

3. სხვა შემოსავლები

საანგარიშო პერიოდში სხვა შემოსავლებისათვის განსაზღვრული 5 100,0 ათასი ლარის ფაქტობრივმა შესრულებამ 8 911,6 ათასი ლარი შეადგინა, რაც გეგმის 174,7%-ი და წინა წლის ანალოგიურ მაჩვენებელთან (ფაქტი - 6 936,5 ათასი ლარი) შედარებით 1 975,0 ათასი ლარით მეტი შემოსავალია მიღებული.

საანგარიშო პერიოდში სხვა შემოსავლების ფაქტობრივმა მდგომარეობა ცალკეული სახეების მიხედვით შემდეგია:

საკუთრებიდან მიღებული შემოსავლების სახით მობილიზებულია 4 750,3 ათასი ლარი, რაც საპროგნოზო მაჩვენებლის (2 300,0 ათასი ლარი) 206,5%-ია. მათ შორის:

პროცენტების სახით საანგარიშო პერიოდში მობილიზებულია 3 742,1 ათასი ლარი, რომელიც მოიცავს ადგილობრივი ბიუჯეტის მიმდინარე საბანკო ანგარიშზე წლის განმავლობაში დარიცხულ საპროცენტო შემოსავალს. წინა წლის ანალოგიურ მაჩვენებელთან (6 თვის ფაქტი - 2 888,9 ათასი ლარი) შედარებით 853,3 ათასი ლარით მეტი შემოსავალია მიღებული.

რენტის სახით მიღებულია 1 008,2 ათასი ლარი, რაც საპროგნოზო მაჩვენებლის (800,0 ათასი ლარი) 126% და წინა წლის ანალოგიურ მაჩვენებელთან (ფაქტი - 793,6 ათასი ლარი) შედარებით 214,6 ათასი ლარით მეტია, აქედან: ბუნებრივი რესურსებით სარგებლობისათვის მოსაკრებელზე მოდის 742,6 ათასი ლარი, მიწის იჯარიდან და მართვაში (უზუფრუქტი, ქირავნობა და სხვა) გადაცემიდან შემოსავალზე 265,6 ათასი ლარი.

საქონლისა და მომსახურების რეალიზაციიდან მობილიზებულია 944,8 ათასი ლარი, რაც საპროგნოზო მაჩვენებლის (960,0 ათასი ლარი) 98,4%-ია, აქედან:

ადმინისტრაციული მოსაკრებლებისა და გადასახდელების სახით - 885,8 ათასი ლარი, მათ შორის: სანებართვო მოსაკრებელი - 495,3 ათასი ლარი, წინა წლის ანალოგიურ მაჩვენებელთან (ფაქტი - 450,2 ათასი ლარი) შედარებით 45,1 ათასი ლარით მეტი, დასახლებული ტერიტორიის დასუფთავებისთვის მოსაკრებელი - 363,5 ათასი ლარი, წინა წლის ანალოგიურ მაჩვენებელთან (ფაქტი - 377,4 ათასი ლარი) შედარებით 13,9 ათასი ლარით ნაკლები და სათამაშო ბიზნესის მოსაკრებელი - 27.0 ათასი ლარი;

არასაბაზრო დაწესებულების ერთჯერადი და შემთხვევითი გაყიდვებიდან, რომელიც აერთიანებს შემოსავლებს მომსახურების გაწევიდან, მიღებულია 59,0 ათასი ლარი, წინა წლის ანალოგიურ მაჩვენებელთან (ფაქტი - 38,9 ათასი ლარი) შედარებით 20,1 ათასი ლარით მეტი.

სანქციებიდან (ჯარიმები და საურავები) მიღებულმა შემოსავლებმა მთლიანობაში 3 044,5 ათასი ლარი შეადგინა, რაც გეგმის (1 780,0 ათასი ლარი) 171%-ია და წინა წლის ანალოგიურ მაჩვენებელთან (ფაქტი - 2 297,0 ათასი ლარი) შედარებით 747,5 ათასი ლარით მეტია, მათ შორის: საგზაო მოძრაობის წესების დარღვევისათვის 2 701,6 ათასი ლარი, არქიტექტურულ-სამშენებლო საქმიანობაში გამოვლენილი დარღვევის გამო - 110,3 ათასი ლარი, შემოსავლები

სანქციებიდან, ჯარიმებიდან და საურავებიდან სხვა ადმინისტრაციული სამართალდარღვევების გამო - 232,6 ათასი ლარი;

ტრანსფერები, რომლებიც სხვაგან არ არის კლასიფიცირებული შემოსავლებიდან საანგარიშო პერიოდში მიღებულია 171,9 ათასი ლარი, მათ შორის: შემოსავალი ხელშეკრულების პირობების დარღვევის გამო დაკისრებული პირგასამტეხლოდან - 146,8 ათასი ლარი, წინა წელს გამოუყენებელი და დაბრუნებული საბიუჯეტო სახსრები - 9,4 ათასი ლარი, სახელმწიფოსადმი მიყენებული ზიანის ანაზღაურება - 1,7 ათასი ლარი; ადგილობრივი საქალაქო რეგულარული სამგზავრო გადაყვანის ნებართვაზე - 6,4 ათასი ლარი, სხვა დანარჩენი არაკლასიფიცირებული შემოსავლები - 7,5 ათასი ლარი.

ათასი ლარი

შემოსავლის სახეები	2026 წლის 6 თვის გეგმა	2026 წლის 6 თვის საკასო შესრულება	სხვაობა +/-	შესრულება, %
სხვა შემოსავლები, მათ შორის:	**5,100.0**	**8,911.6**	**3,811.6**	**174.7**
შემოსავლები საკუთრებიდან	**2,300.0**	**4,750.3**	**2,450.3**	**206.5**
პროცენტები	**1,500.0**	**3,742.1**	**2,242.1**	**249.5**
რენტა	**800.0**	**1,008.2**	**208.2**	**126.0**
მოსაკრებელი ბუნებრივი რესურსებით სარგებლობისათვის	700.0	742.6	42.6	106.1
შემოსავალი მიწის იჯარიდან და მართვაში გადაცემიდან	100.0	265.6	165.6	265.6
საქონლისა და მომსახურების რეალიზაცია	**960.0**	**944.8**	**- 15.2**	**98.4**
ადმინისტრაციული მოსაკრებლები და გადასახდელები	**940.0**	**885.8**	**- 54.2**	**94.2**
სათამაშო ბიზნესის მოსაკრებელი	-	27.0	27.0	-
მოსაკრებელი დასახლებული ტერიტორიის დასუფთავებისთვის	540.0	363.5	-176.5	67.3
სანებართვო მოსაკრებელი	400.0	495.3	95.3	123.8
არა საბაზრო დაწესებულების მიერ განხორციელებული გაყიდვები	**20.0**	**59.0**	39.0	295.0
შემოსავალი მომსახურების გაწევიდან	20.0	59.0	39.0	295.0
სანქციები, ჯარიმები და საურავები	**1,780.0**	**3,044.5**	**1,264.5**	**171.0**
შემოსავალი სანქციებიდან (ჯარიმები და საურავები) ადმინისტრაციული სამართალდარღვევების გამო ტრანსპორტზე საგზაო მეურნეობისა და კავშირგაბმულობის დარგში	1,370.0	2,701.6	1,331.6	197.2
შემოსავალი არქიტექტურულ-სამშენებლო საქმიანობაში გამოვლენილი დარღვევის გამო	80.0	110.3	30.3	137.9
შემოსავლები სანქციებიდან, ჯარიმებიდან და საურავებიდან სხვა ადმინისტრაციული	330.0	232.6	-97.4	70.5

შემოსავლის სახეები	2026 წლის 6 თვის გეგმა	2026 წლის 6 თვის საკასო შესრულება	სხვაობა +/-	შესრულება, %
სამართალდარღვევების გამო				
ტრანსფერები, რომლებისც სხვაგან არ არის კლასიფიცირებული	**60.0**	**171.9**	**111.9**	**286.5**
შერეული და სხვა არაკლასიფიცირებული შემოსავლები	60.0	165.5	105.5	275.8
შემოსულობა ადგილობრივი საქალაქო რეგულარული სამგზავრო გადაყვანის ნებართვაზე	-	6.4	6.4	-

არაფინანსური აქტივების კლება

არაფინანსური აქტივების კლებიდან სულ მიღებულია 3 480,7 ათასი ლარი: სახელმწიფო არასაცხოვრებელი შენობების გაყიდვიდან 5,7 ათასი ლარი, მანქანა-დანადგარების და ინვენტარის გაყიდვიდან 7,4 ათასი ლარი, არაწარმოებული აქტივების (მიწა) გაყიდვიდან 3 467,6 ათასი ლარი, მათ შორის: სახელმწიფო საკუთრებაში არსებული არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწების გაყიდვიდან მიღებულია 470,0 ათასი ლარი, სახელმწიფო საკუთრებაში არსებული სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწების გაყიდვიდან - 2 966,9 ათასი ლარი, ხოლო ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულების საკუთრებაში არსებული სასოფლო-სამეურნეო მიწების გაყიდვიდან - 30,7 ათასი ლარი.

ბიუჯეტის ხარჯების და არაფინანსური აქტივების ზრდა ფუნქციონალურ ჭრილში

ფუნქციონალური კლასიფიკაციის მიხედვით მცხეთის მუნიციპალიტეტის 2026 წლის ბიუჯეტის 6 თვის შესრულება:

◙ **საერთო დანიშნულების** სახელმწიფო მომსახურების სფეროში საკასო შესრულებამ შეადგინა 4 022,6 ათასი ლარი, გეგმის (5 166,8 ათასი ლარი) 78%, მისი ხვედრითი წილი გადასახდელებში შეადგენს 14,4%-ს.

◙ **ეკონომიკური საქმიანობის** სფეროს დასაფინანსებლად გეგმა განისაზღვრა 11 088,7 ათასი ლარი, საკასო შესრულებამ შეადგინა 3 420,6 ათასი ლარი, ანუ გეგმის 31%. მისი ხვედრითი წილი გადასახდელებში შეადგენს 12,3%-ს.

◙ **გარემოს დაცვის სფეროს** დასაფინანსებლად გეგმა განისაზღვრა 3 792,3 ათასი ლარი, საკასო შესრულებამ შეადგინა 2 089,8 ათასი ლარი, ანუ გეგმის 55%; მისი ხვედრითი წილი საერთო ხარჯებში შეადგენს 7,5%-ს.

◙ **საბინაო-კომუნალური** მეურნეობის სფეროს დასაფინანსებლად გეგმა განისაზღვრა 21 487,8 ათასი ლარი, საკასო შესრულებამ შეადგინა 5 705,1 ათასი ლარი, გეგმური მაჩვენებლის 27%. მისი ხვედრითი წილი საერთო ხარჯებში შეადგენს 20,5%-ს.

◙ **ჯანმრთელობის დაცვის** სფეროს დასაფინანსებლად გეგმა განისაზღვრა 831,5 ათასი ლარით, საკასო შესრულებამ შეადგინა 816,1 ათასი ლარი, ანუ გეგმური მაჩვენებლის 98,1%. მისი ხვედრითი წილი საერთო ხარჯებში 3,0%-ია.

◙ **დასვენების, კულტურის და რელიგიის** სფეროს დასაფინანსებლად გეგმა განისაზღვრა 5 156,0 ათასი ლარი, საკასო შესრულებამ შეადგინა 3 932,4 ათასი ლარი, გეგმური მაჩვენებლის 76 %. მისი ხვედრითი წილი საერთო ხარჯებში 14,1%-ია.

◙ **განათლების სფეროს** დასაფინანსებლად გეგმა განისაზღვრა 8 671,6 ათასი ლარი, საკასო შესრულებამ შეადგინა 7 107,7 ათასი ლარი, გეგმური მაჩვენებლის 82%. მისი ხვედრითი წილი საერთო ხარჯებში 25,5%-ია.

◙ **სოციალური დაცვის სფეროს** დასაფინანსებლად გეგმა განისაზღვრა 1 505,8 ათასი ლარი, საკასო შესრულებამ შეადგინა 803,5 ათასი ლარი, ანუ გეგმური მაჩვენებლის 53%. მისი ხვედრითი წილი საერთო ხარჯებში 2,9%-ია.

II. ინფორმაცია მცხეთის მუნიციპალიტეტის 2026 წლის ბიუჯეტის 6 თვის გადასახდელების შესრულების შესახებ

2026 წელს 6 თვეში გადასახდელების შესრულების 48,3%-იანი მაჩვენებელი დაფიქსირდა (დანართი N2). 2025 წლის ანალოგიურ მაჩვენებელთან შედარებით თანხობრივ ჭრილში (2025 წლის 6 თვესთან - 28 162,6 ათასი ლარი) დახარჯულია 264,4 ათასი ლარით ნაკლები.

2026 წლის ბიუჯეტის 6 თვის გადასახდელები ეკონომიკურ ჭრილში

გადასახდელების საანგარიშო პერიოდის დაზუსტებულმა გეგმამ შეადგინა 57 700,6 ათასი ლარი, ხოლო გაწეულმა საკასო ხარჯმა შეადგინა 27 898,1 ათასი ლარი, გეგმური მაჩვენებლის 48,3%, მათ შორის:

ხარჯების დაზუსტებულმა გეგმამ შეადგინა 31 891,2 ათასი ლარი, ხოლო გაწეულმა საკასო ხარჯმა - 22 015,5 ათასი ლარი, გეგმური მაჩვენებლის 69% და მთლიანი გადასახდელების საკასო შესრულების 78,9%.

არაფინანსური აქტივების ზრდის დაზუსტებულმა გეგმამ შეადგინა 25 809,4 ათასი ლარი, გაწეულმა საკასო ხარჯმა - 5 882,6 ათასი ლარი, გეგმური მაჩვენებლის 22,8% და მთლიანი გადასახდელების საკასო შესრულების 21,1%.

მცხეთის მუნიციპალიტეტის 2026 წლის ბიუჯეტის 6 თვის ხარჯები ეკონომიკური კლასიფიკაციის მიხედვით

საანგარიშო პერიოდში ბიუჯეტიდან გაწეულმა მთლიანი ხარჯების საკასო შესრულებამ შეადგინა 27 898,1 ათასი ლარი, მათ შორის:

„შრომის ანაზღაურების“ მუხლით საანგარიშო პერიოდში გეგმა განისაზღვრა 3 388.0 ათასი ლარის ოდენობით, ხოლო საკასო შესრულებამ შეადგინა 2 914.1 ათასი ლარი, რაც გეგმური მაჩვენებლის 86%-ს შეადგენს, ხოლო ბიუჯეტიდან გაწეული მთლიანი „ხარჯების“ საკასო შესრულების 13.2%-ია.

„საქონელი და მომსახურების“ მუხლით საანგარიშო პერიოდში გეგმა განისაზღვრა 7 734.2 ათასი ლარის ოდენობით, საკასო შესრულებამ შეადგინა 4 459.3 ათასი ლარი, რაც გეგმის 57,7%-ს შეადგენს, ხოლო ბიუჯეტიდან გაწეული მთლიანი „ხარჯების“ საკასო შესრულების 20.3%-ია.

„სუბსიდიების“ მუხლით საანგარიშო პერიოდში გეგმა განისაზღვრა 17 258.0 ათასი ლარით, ხოლო საკასო შესრულებამ შეადგინა 13 022.5 ათასი ლარი, რაც გეგმის 75,5%-ს, ხოლო ბიუჯეტიდან გაწეული მთლიანი „ხარჯების“ საკასო შესრულების 59.2%-ს შეადგენს.

„გრანტების“ მუხლით საანგარიშო პერიოდში გეგმა განისაზღვრა 72,0 ათასი ლარით, საკასო შესრულებამ შეადგინა 69.0 ათასი ლარი, რაც გეგმის 95,8%-ს, ხოლო ბიუჯეტიდან გაწეული მთლიანი „ხარჯების“ საკასო შესრულების 0.3%-ს შეადგენს.

„სოციალური უზრუნველყოფის“ მუხლით საანგარიშო პერიოდში გეგმა განისაზღვრა 799.6 ათასი ლარით, ხოლო საკასო შესრულებამ შეადგინა 739.5 ათასი ლარი, რაც გეგმის 92,5%-ს, ხოლო ბიუჯეტიდან გაწეული მთლიანი „ხარჯების“ საკასო შესრულების 3.4%-ს შეადგენს.

„სხვა ხარჯების“ მუხლით საანგარიშო პერიოდში გეგმა განისაზღვრა 2 639.4 ათასი ლარის ოდენობით, ხოლო საკასო ხარჯი გაწეული იქნა 811.1 ათასი ლარის მოცულობით, რაც გეგმის 30,7%, ხოლო ბიუჯეტიდან გაწეული მთლიანი „ხარჯების“ საკასო შესრულების 3.7%-ია.

არაფინანსური აქტივების ზრდის მაჩვენებელი პროგრამული კლასიფიკაციის კოდების მიხედვით

ათასი ლარი

პროგ. კოდი	არაფინანსური აქტივების ზრდა პროგრამების მიხედვით	2026 წლის 6 თვის გეგმა	2026 წლის 6 თვის ფაქტი	სხვაობა +/-	შესრულება, %
01 00	მმართველობა და საერთო დანიშნულების ხარჯები	70.0	19.1	50.9	27.4
02 00	ინფრასტრუქტურის მშენებლობა, რეაბილიტაცია და ექსპლუატაცია	22,618.9	4,671.1	17,947.9	20.7
03 00	დასუფთავება და გარემოს დაცვა	514.4	12.2	502.2	2.4
04 00	განათლება	869.9	227.1	642.8	26.1
05 00	კულტურა, რელიგია, ახალგაზრდობის ხელშეწყობა და სპორტი	1,732.0	950.7	781.4	54.9
06 00	ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა	4.2	2.4	1.8	57.8
	არაფინანსური აქტივების ზრდა, ჯამი	25,809.4	5,882.6	19,926.8	22.8

მცხეთის მუნიციპალიტეტის 2026 წლის ბიუჯეტით საანგარიშო პერიოდში დაფინანსებული პრიორიტეტები

✓ პრიორიტეტი ინფრასტრუქტურის ობიექტების მშენებლობა, რეაბილიტაცია და ექსპლუატაცია საანგარიშო პერიოდში დაფინანსდა 9 125,7 ათასი ლარით, გეგმის (32 576,5 ათასი ლარი) - 28%;

✓ პრიორიტეტი დასუფთავება და გარემოს დაცვა საანგარიშო პერიოდში დაფინანსდა 2 089,8 ათასი ლარით, გეგმის (3 792,3 ათასი ლარი) – 55,1%;

✓ პრიორიტეტი განათლება საანგარიშო პერიოდში დაფინანსდა 7 107,7 ათასი ლარით, გეგმის (8 671,6 ათასი ლარი) - 82%;

✓ პრიორიტეტი კულტურა, სპორტი და ახალგაზრდობა საანგარიშო პერიოდში 3 932,4 ათასი ლარით, გეგმის (5 156,0 ათასი ლარი) - 76,3%;

✓ პრიორიტეტი ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა საანგარიშო პერიოდში დაფინანსდა 1 619,8 ათასი ლარით, გეგმის (2 337,3 ათასი ლარი) – 69,3%;

✓ პრიორიტეტი მმართველობა და საერთო დანიშნულების ხარჯები საანგარიშო პერიოდში დაფინანსდა 4 022,6 ათასი ლარით, გეგმის (5 166,8 ათასი ლარი) - 77,9%.

III. პროგრამების და ქვეპროგრამების შესრულება

ინფრასტრუქტურის მშენებლობა, რეაბილიტაცია და ექსპლუატაცია

საანგარიშო პერიოდში ინფრასტრუქტურის მშენებლობა, რეაბილიტაცია და ექსპლუატაცია დაფინანსებულია 9,125.7 ათასი ლარით (გეგმური მაჩვენებლის - 32,576.5 ათასი ლარი - 28%) შემდეგ პროგრამებზე:

ათასი ლარი

კოდი	პრიორიტეტი/პროგრამა/ ქვეპროგრამა	პერიოდის გეგმა	პერიოდის ფაქტი	გადახრა +/-	შესრულება, %
02 00	ინფრასტრუქტურის მშენებლობა, რეაბილიტაცია და ექსპლუატაცია	32,576.5	9,125.7	23,450.8	28.0
02 01	საგზაო ინფრასტრუქტურის განვითარება	8,455.0	2,365.5	6,089.4	28.0
02 01 01	გზების მოვლა-შენახვა და მიმდინარე შეკეთება	642.9	542.7	100.2	84.4
02 01 02	გზების კაპიტალური შეკეთება	5,261.1	1,356.1	3,904.9	25.8
02 01 03	გზების კეთილმოწყობა	2,551.0	466.7	2,084.3	18.3
02 02	წყლის სისტემების განვითარება	5,257.3	2,310.4	2,947.0	43.9
02 02 01	სასმელი წყლის სისტემების მოვლა-პატრონობა	1,570.9	550.0	1,020.9	35.0
02 02 02	სასმელი წყლის სისტემების რეაბილიტაცია	3,586.5	1,691.2	1,895.3	47.2
02 02 03	საკანალიზაციო სისტემის მოწყობა - რეაბილიტაცია და ექსპლუატაცია	100.0	69.2	30.8	69.2
02 03	გარე განათების ქსელის მოწყობა, რეაბილიტაცია, ექსპლუატაცია	1,579.9	1,342.7	237.2	85.0
02 03 01	გარე განათების ქსელის ექსპლუატაცია	1,115.0	899.9	215.1	80.7

კოდი	პრიორიტეტი/პროგრამა/ ქვეპროგრამა	პერიოდის გეგმა	პერიოდის ფაქტი	გადახრა +/-	შესრულება, %
02 03 01 01	გარე განათების ქსელის მოხმარებული ელექტროენერგიის ხარჯის ანაზღაურება	810.0	643.4	166.6	79.4
02 03 01 02	გარე განათების ქსელის მოვლა-პატრონობა	305.0	256.4	48.6	84.1
02 03 02	გარე განათების ქსელის მოწყობა, რეაბილიტაცია	464.9	442.8	22.1	95.2
02 04	მუნიციპალური, ავარიული ობიექტების და შენობების რეაბილიტაცია	2,231.2	260.2	1,971.0	11.7
02 05	სატრანსპორტო სისტემის და სერვისის განვითარება	1,248.0	360.0	888.0	28.8
02 06	კეთილმოწყობის ღონისძიებები	2,325.0	612.4	1,712.5	26.3
02 06 01	საზოგადოებრივი სივრცეების მოწყობა-რეაბილიტაცია და ექსპლუატაცია (სკვერები და მოსაცდელები)	2,181.9	491.4	1,690.5	22.5
02 06 02	დაზიანებული მუნიციპალური ქონების მოვლა-პატრონობა	79.0	64.6	14.4	81.8
02 06 03	სადღესასწაულო ღონისძიებები	64.0	56.4	7.7	88.0
02 07	სოფლის მხარდაჭერის პროგრამა	2,059.0	617.2	1,441.8	30.0
02 08	სანიაღვრე არხების, სარწყავი არხების და ნაპირსამაგრი ნაგებობების მშენებლობა/რეაბილიტაცია	874.9	167.6	707.4	19.2
02 09	მუნიციპალიტეტში განსახორციელებელი პროექტების საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო, საექსპერტო და სამშენებლო-ტექნიკური ზედამხედველობის მომსახურება	2,058.3	128.7	1,929.6	6.3
02 10	სტიქიის შედეგების სალიკვიდაციო ღონისძიებების დაფინანსება	1,242.8	574.1	668.7	46.2
02 11	ადგილობრივი თვითმმართველობის განხორციელებაში მოქალაქეთა ჩართულობის ხელშეწყობა	540.1	387.0	153.2	71.6
02 12	სპეციალური დანიშნულების ინვენტარის და სატრანსპორტო საშუალებების შეძენა	4,705.0	-	4,705.0	-

02 01 საგზაო ინფრასტრუქტურის განვითარება დაფინანსებულია 2 365.5 ათასი ლარით (გეგმური მაჩვენებლის - 8 455.0 ათასი ლარი - 28%) შემდეგ ქვეპროგრამებზე:

02 01 01 გზების მოვლა-შენახვა და მიმდინარე შეკეთება - დაფინანსებულია 542,7 ათასი ლარით, გეგმური მაჩვენებლის - 642,9 ათასი ლარის - 84,4%; საანგარიშო პერიოდში დაფინანსდა: ადგილობრივი მნიშვნელობის ასფალტირებული გზების დაზიანებული

მონაკვეთების სარემონტო სამუშაოები (სოფ. ლისი), საგზაო ნიშნების და სიჩქარის შემზღუდავი ბარიერების მონტაჟი.

02 01 02 გზების კაპიტალური შეკეთება - დაფინანსებულია 1 356,1 ათასი ლარით (მათ შორის, კაპიტალური ტრანსფერი 313.0 ათასი ლარი), გეგმური მაჩვენებლის - 5 261.1 ათასი ლარის - 25.8%; საანგარიშო პერიოდში დაფინანსდა:

საანგარიშო პერიოდში დაფინანსდა: სოფ. მუხრანში შიდა საუბნო გზების რეაბილიტაცია (განკარგულება N1955 31.12.2024წ); ქ. მცხეთაში ასფალტბეტონის საფარის მოწყობა (6 ლოკაცია: რუსთაველის და წერეთლის ქუჩები, სააკაძის ქუჩაზე, ღვინჯილიას ქუჩის მიმდებარედ, აღმაშენებლის ქუჩის მიმდებარედ, არსენას ძეგლის მიმდებარედ და ე.წ. ქურთების უბანში (რგფ N1955 31.12.2024წ); ქ. მცხეთაში ჯავახიშვილის ქუჩის რეაბილიტაცია; სოფ. გოროვანში შიდა გზების ასფალტბეტონის საფარით მოწყობა; სოფ. აღდგომლიანთკარში შიდა გზების ასფალტბეტონის საფარით მოწყობა; სოფ. წეროვნის იგპ დასახლებაში (ხეობელების დასახლებაში მისასვლელი გზის) გზების რეაბილიტაცია; სოფ. ქსანში შიდა საუბნო გზების ასფალტბეტონის საფარით მოწყობა; სოფ. სასხორში შიდა საუბნო გზის ასფალტბეტონის საფარით მოწყობა (განკარგულება N1955 31.12.2024წ).

02 01 03 გზების კეთილმოწყობა - დაფინანსებულია 466.7 ათასი ლარით (მათ შორის, კაპიტალური ტრანსფერი 57.3 ათასი ლარი), გეგმური მაჩვენებლის - 2 551.0 ათასი ლარი - 18.3%; საანგარიშო პერიოდში დაფინანსდა:

საანგარიშო პერიოდში დაფინანსდა: სოფ. ძეგვში დაზიანებული გზის აღდგენა და გაბიონის მოწყობა (რგფ N1730 24.10.2025წ); სოფ. წილკანში, ტერიტორიის რეაბილიტაცია (ტაძრის მიმდებარედ), სოფ. მუხრანში ცენტრალური ნაწილის რეაბილიტაცია.
ვიდეო კამერების ინტერნეტქსელით უზრუნველყოფა და დაზიანებულის აღდგენა;

02 02 წყლის სისტემების განვითარება დაფინანსებულია 2 310.0 ათასი ლარით (გეგმური მაჩვენებლის - 5 257.3 ათასი ლარი- 43,9%) შემდეგ ქვეპროგრამებზე:

02 02 01 სასმელი წყლის სისტემების მოვლა-პატრონობა - დაფინანსებულია შპს „წყლისა და ტრანსპორტის კომპანია“ 550.0 ათასი ლარით, გეგმის 1 570.9 ათასი ლარის 35%;

საანგარიშო პერიოდში კომპანია მოემსახურა მუნიციპალიტეტის 59 სოფელს, 6 თვის განმავლობაში ავარიული გამოძახების რაოდენობამ შეადგინა 137 ერთეული, განხორციელდა ადგილობრივი დანიშნულების წყალმომარაგების ქსელის გამართული და შეუფერხებელი ფუნქციონირების უზრუნველყოფა, რაც გულისხმობს დაზიანებული წყალსადენის ქსელის რემონტს, არსებული წყლის რეზერვუარების დაქლორვას, გაწმენდა-შეკეთებას; მწყობრიდან გამოსული წყლის მილების შეკეთებას და გამოცვლას; ამორტიზებული და დაზიანებული ტუმბოების და ჩამკეტ-მარეგულირებელი მოწყობილობების შეკეთებას, ახლით ჩანაცვლებას.

დაბინძურების წყაროების იდენტიფიცირების მიზნით სამსახურის მიერ რეგულარულად მიმდინარეობდა წყალმომარაგების სისტემების მდგომარეობის შესწავლა, რეზერვუარებში არსებული წყლის გაუსნებოვნება, დეზინფექცირება, რეზერვუარების დაქლორვა-გარეცხვა, ხარისხის მონიტორინგი და ლაბორატორიული კვლევა ტარდებოდა შექმნილი სიტუაციებიდან გამომდინარე.

საანგარიშო პერიოდში მოსახლეობას და საყოფაცხოვრებო მომხმარებლებს წყალი მიეწოდებოდათ ჭაბურღილების (28 სოფელი, 103 ერთეული), დრენაჟული წყალმიმღებების (21 სოფელი), კომპანია GWP - ის (10 სოფელი) და „გაერთიანებული ქართული წყლები“-ს (5 სოფელი) მეშვეობით. ამ პერიოდში მოეწყო 4 ცალი ჭაბურღილი: სოფ. არაშენდა - 1 ცალი, სოფ. ნავაზი - 1 ცალი, სოფ. ახალუბანი - 2 ცალი.

მუნიციპალიტეტის წყალმომარაგების არსებულ ქსელს (სავარაუდო სიგრძე 368529 მ.) საანგარიშო პერიოდში შეემატა 3571 გრძ.მ. სიგრძის სხვადასხვა დიამეტრის წყალსადენი: სოფ. არაშენდის, სოფ. ახალუბნის და სოფ. ნავაზის. ამ პერიოდისთვის წყალმომარაგების ქსელის სიგრძე ზემოთ აღნიშნულის გათვალისწინებით დაახლოებით 372100 გრძ.მ-ია.

სხვადასხვა ზომის შემკრები ავზების (რეზერვუარების) რაოდენობა, მ/წლის 6 თვეში მოწყობილი 3 ერთეულის ჩათვლით, ამ ეტაპზე არის 118 ცალი (მათ შორის 20 თვითდინებით შევსებადი), საერთო მოცულობით 15374 $მ^3$.

საანგარიშო პერიოდში, კომპანიას, წალმომარაგების სისტემაზე მიერთების მოთხოვნით მიმართა 80 მომხმარებელმა, ტექნიკურ საკითხთა განმხილველი კომისიის გადაწყვეტილებით 48 მათგანზე გაიცა ტექნიკური პირობა.

02 02 02 სასმელი წყლის სისტემების რეაბილიტაცია - დაფინანსებულია 1 691,2 ათასი ლარით, გეგმის - 3 586.5 ათასი ლარის - 47.2%; საანგარიშო პერიოდში დაფინანსდა: მუნიციპალიტეტის სოფლებში ჭაბურღილების მიერ მოხმარებული ელენერგიის ხარჯის ანაზღაურება, სოფ. უფურეთში, ნავაზში, ახალუბანში, ნიჩბისში და არაშენდაში წყლის სისტემების რეაბილიტაცია, სოფ. ბიწმენდში და სოფ. ჯიღაურაში სასმელი წყლის სისტემების მოწყობა.

02 02 03 საკანალიზაციო სისტემის მოწყობა - რეაბილიტაცია და ექსპლუატაცია - დაფინანსებულია 69.2 ათასი ლარით, გეგმის - 100.0 ათასი ლარი - 69.2%;

საანგარიშო პერიოდში განხორციელდა საკანალიზაციო ქსელის გაწმენდა ქალაქ მცხეთაში (არმაზის დასახლება) და მუნიციპალიტეტის სოფლებში: საგურამო, ძეგვი, წეროვანი, წინამძღვრიანთკარი;

02 03 გარე განათების ქსელის მოწყობა, რეაბილიტაცია, ეიქსპლუატაცია დაფინანსებულია 1 342.7 ათასი ლარით (გეგმური მაჩვენებლის - 1579.9 ათასი ლარი- 85%) შემდეგ ქვეპროგრამებზე:

02 03 01 01 გარე განათების ქსელის მოხმარებული ელექტროენერგიის ხარჯის ანაზღაურება - დაფინანსებულია 643.4 ათასი ლარით, გეგმის (810.0 ათასი ლარი)- 79.4%;

განხორციელდა მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული გარე განათების 16365 წერტილის მიერ მოხმარებული ელექტროენერგიის ხარჯების ანაზღაურება.

02 03 01 02 გარე განათების ქსელის მოვლა-პატრონობა (განმახორციელებელი ა(ა)იპ „მცხეთის მუნიციპალიტეტის კეთილმოწყობის სამსახური“) - საანგარიშო პერიოდში დაფინანსებულია 256.4 ათასი ლარით, დაზუსტებული გეგმის - 305.0 ათასი ლარი - 84.1 %.

საანგარიშო პერიოდში ყოველდღიურად ხორციელდებოდა დასახლებული პუნქტების და ქუჩების 16365 გარე განათების წერტილის ექსპლუატაცია, მათ შორის, ქ. მცხეთის ქუჩების, სკვერებისა და არქიტექტურული ძეგლების განათების 2036 წერტილის და მუნიციპალიტეტის 60 სოფლის დასახლებული პუნქტების, ქუჩების გარე განათების 14329 წერტილის, ამ პერიოდში განხორციელდა ამორტიზებული და მწყობრიდან გამოსული ელმოწყობილობების ახლით შეცვლა.

02 03 02 გარე განათების ქსელის მოწყობა-რეაბილიტაცია დაფინანსებულია 442.8 ათასი ლარით, გეგმის - 464.9 ათასი ლარი - 34%; საანგარიშო პერიოდში დაფინანსებულია გარე განათების მოწყობა სოფ. მუხათგვერდის დასახლებიდან არმაზის დასახლების ჩათვლით.

02 04 მუნიციპალური, ავარიული ობიექტების და შენობების რეაბილიტაცია - გეგმა 2 231.2 ათასი ლარი, დაფინანსებულია 260.2 ათასი ლარით. საანგარიშო პერიოდში დაფინანსებულია: სოფ. საგურამოში, საცხოვრებელი კორპუსების სადარბაზოების რეაბილიტაცია (მთავრობის განკარგულება N1955 31.12.24წ); სამშენებლო და სამოქალაქო მშენებლობის მანქანა-დანადგარებისა და მათი ოპერატორების დაქირავების ხარჯი; ადმინისტრაციულ შენობის ლიფტის მომსახურების ხარჯი; უნებართვოდ აშენებული შენობების დემონტაჟი; ქ. მცხეთაში საცხოვრებელი კორპუსების (მტკვრის ქ N2 და მტკვრის ქ N4) ფასადის და სადარბაზოების სარეაბილიტაციო სამუშაოები.

02 05 სატრანსპორტო სისტემის და სერვისის განვითარება - დაფინანსებულია შპს „წყლისა და ტრანსპორტის კომპანია“ 360.0 ათასი ლარით, გეგმის - 1 248.0 ათასი ლარი - 28.8%;
პროგრამის ფარგლებში დაფინანსდა შპს „წყლისა და ტრანსპორტის კომპანიის“ მიერ გაწეული სატრანსპორტო სერვისის ხარჯები: ხელფასები, საწვავი, ავტობუსების რემონტი.

02 06 კეთილმოწყობის ღონისძიებები დაფინანსებულია 612.4 ათასი ლარით (გეგმური მაჩვენებლის - 2 325.0 ათასი ლარი- 26.3%) შემდეგ ქვეპროგრამებზე:

02 06 01 საზოგადოებრივი სივრცეების მოწყობა-რეაბილიტაცია და ექსპლუატაცია (სკვერები და მოსაცდელები) - დაფინანსებულია 491.4 ათასი ლარით, გეგმის - 2 181.9 ათასი ლარი - 22.5%.
საანგარიშო პერიოდში დაფინანსდა სკვერებში არსებული სასმელი წყლის და შადრევნის წყლის ხარჯის დაფინანსება, მცხეთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული სკვერების ფრაგმენტული და ახლის მოწყობის სამუშაოები; სოფ. გოროვანში სკვერის რეაბილიტაცია;

02 06 02 დაზიანებული მუნიციპალური ქონების მოვლა-პატრონობა (განმახორციელებელი - ა(ა)იპ „მცხეთის მუნიციპალიტეტის კეთილმოწყობის სამსახური“) - დაფინანსებულია 64.6 ათასი ლარით, გეგმის - 79.0 ათასი ლარი - 81.8%.
განხორციელდა არსებული დაზიანებული ბორდიურების, საყრდენი კედლების, მოსაცდელების სარემონტო სამუშაოები, გარე განათების ბოძების, მოაჯირების, ხის სანაგვე ურნების შეღებვა, ქალაქ მცხეთის ტერიტორიაზე არსებული ატრაქციონების, სკამების, ნაგვის კონტეინერების, სკვერებში წყლის ონკანების შეკეთება, სასმელი წყლის სოკოს დამონტაჟება, სამანქანო გზის ნაპირების გაწმენდა და სხვა სარემონტო სამუშაოები.

02 06 03 სადღესასწაულო ღონისძიებები - დაფინანსებულია 56.4 ათასი ლარით, გეგმის -64.0 ათასი ლარი - 88%.
საანგარიშო პერიოდში დაფინანსდა საშობაო-საახალწლო დღესასწაულისთვის ქალაქში საახალწლო დეკორაციების და მთავარი ნაძვის ხის მონტაჟი/დემონტაჟის ღონისძიებები;

02 07 სოფლის მხარდაჭერის პროგრამა დაფინანსებულია 617.2 ათასი ლარით (მათ შორის კაპიტალური ტრანსფერი 214.2 ათასი ლარი), გეგმის -2 059.0 ათასი ლარი - 30%. საანგარიშო პერიოდში დაფინანსდა მუნიციპალიტეტის სოფლებში 60 ათას ლარამდე ღირებულების მცირე, სხვადასხვა ინფრასტრუქტურული პროექტები: გარე განათების მოწყობის სამუშაოები, გზების მოხრეშა/რეაბილიტაცია, სასმელი წყლის სისტემების, სარწყავი და სანიაღვრე არხების რეაბილიტაცია და სხვა.

02 08 სანიაღვრე არხების, სარწყავი არხების და ნაპირსამაგრი ნაგებობების მშენებლობა/რეაბილიტაცია დაფინანსებულია 167.6 ლარით, გეგმის -874.9 ათასი ლარი - 19.2%.
საანგარიშო პერიოდში დაფინანსებულია სოფ. ციხისძირში არხის რეაბილიტაცია.

02 09 მუნიციპალიტეტში განსახორციელებელი პროექტების საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო, საექსპერტო და სამშენებლო-ტექნიკური ზედამხედველობის მომსახურება - დაფინანსებულია 128.7 ათასი ლარით, გეგმის - 2 058.3 ათასი ლარი - 6.3 %.
საანგარიშო პერიოდში დაფინანსებულია მუნიციპალიტეტში განსახორციელებელი ინფრასტრუქტურული სამუშაოების საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შესყიდვა -20,5 ათასი ლარი; ჩატარებული სამუშაოების ხარისხზე ტექნიკური ზედამხედველობის (საექსპერტო მომსახურების) სამუშაოების შესყიდვა - 108,2 ათასი ლარი;

02 10 სტიქიის შედეგების სალიკვიდაციო ღონისძიებების დაფინანსება - დაფინანსებულია 574.1 ათასი ლარით (მათ შორის, სპეციალური ტრანსფერი 406.5 ათასი ლარი), გეგმის - 1 242.8 ათასი ლარი - 46.2%.

საანგარიშო პერიოდში სპეციალური ტრანსფერით დაფინანსდა სოფ. წეროვანში, მდინარე ნარეკვავის კალაპოტის გაწმენდითი სამუშაოები, ხოლო ადგილობრივი ბიუჯეტიდან - სამშენებლო და სამოქალაქო მშენებლობის მანქანა-დანადგარებისა და მათი ოპერატორების დაქირავების ხარჯი, სტიქიის შედეგად დაზიანებული საავტომობილო გზების მოხრეშვა-მოსწორების მიმდინარე სამუშაოები.

02 11 ადგილობრივი თვითმმართველობის განხორციელებაში მოქალაქეთა ჩართულობის ხელშეწყობა - დაფინანსებულია 387.0 ათასი ლარით (მ.შ. ტრანსფერი 322.4 ათასი ლარი), გეგმის - 540.0 ათასი ლარი - 71.6%.

დაფინანსდა შიდა საუბნო გზების მოხრეშვა სოფლებში: ნატახტარი, ძალისი, ნავაზი, მისაქციელი; სოფ. სასხორში გზისპირა 13 მოსახლის სახლის კედლის გასწვრივ სარინელის მოწყობა, სოფ. წილკანში სასმელი წყლის სისტემის მოწყობა, გარე განათების მოწყობა სოფლებში: ნავდარაანთკარი, კოტორაანთკარი, ბურიანი, ნავაზი, წილკანი, ძალისი, ვაზიანი, მისაქციელი, სოფ. ციხისძირში რეკრეაციული ზონის შემოღობვა, ქ. მცხეთაში, რუსთაველის ქუჩაზე გრუნტიანი მონაკვეთის ბეტონის საფარით მოწყობა;

02 12 სპეციალური დანიშნულების ინვენტარის და სატრანსპორტო საშუალებების შეძენა - გეგმა განისაზღვრა 4 705.0 ათასი ლარით, ხარჯი არ განხორციელებულა.

დასუფთავება და გარემოს დაცვა

საანგარიშო პერიოდში **დასუფთავება და გარემოს დაცვა** დაფინანსებულია 2 089,8 ათასი ლარით (გეგმური მაჩვენებლის - 3 792,3 ათასი ლარი- 55,1%) შემდეგ პროგრამებზე:

ათასი ლარი

კოდი	პრიორიტეტი, პროგრამა, ქვეპროგრამა	პერიოდის გეგმა	პერიოდის ფაქტი	სხვაობა, +/-	შესრულება, %
03 00	დასუფთავება და გარემოს დაცვა	3,792.3	2,089.8	1,702.4	55.1
03 01	დასუფთავება და ნარჩენების გატანა	3,000.0	1,876.6	1,123.4	62.6
03 02	მწვანე ნარგავების გაშენება, მოვლა-პატრონობა	730.0	191.0	539.0	26.2
03 02 01	მწვანე ნარგავების მოვლა-პატრონობა	230.0	191.0	39.0	83.0
03 02 02	მწვანე ნარგავების გაშენება	500.0	-	500.0	-
03 04	უპატრონო ცხოველების მოვლითი ღონისძიებები	62.3	22.3	40.0	35.8

03 01 დასუფთავება და ნარჩენების გატანა დაფინანსებულია 1 876,6 ათასი ლარით, გეგმის - 3 000,0 ათასი ლარი - 62,6%.

საანგარიშო პერიოდში განხორციელდა ქ. მცხეთის 179420 კვ.მ. ფართობის ქუჩების ყოველდღიურად დაგვა-დასუფთავება, ქუჩების გაწმენდა ქვიშისა და ნარჩენებისგან; დიდთოვლობის დროს სოფ. ლისის, წოდორეთის, მსხალდიდის, ნაფეტვრების, ნიჩბისის, ფრეზეთის, საგურამოს ქუჩებში დაიყარა 117კუბმ. ქვიშა და 15 ტონა მარილი; ქალაქ მცხეთის (მათ შორის, ქალაქის სასაფლაოს ტერიტორია) და მუნიციპალიტეტში შემავალი 22 ადმინისტრაციული ერთეულების სოფლებიდან და ორგანიზაციებიდან საყოფაცხოვრებო ნარჩენების შეგროვება და გატანა (11 ნაგავმზიდით) 45 კმ - ზე კასპის ნაგავსაყრელზე.

აღნიშნულ პერიოდში მუნიციპალიტეტის ტერიტორიის დასახლებული პუნქტებიდან და ორგანიზაციებიდან სულ გატანილ იქნა 11157 ტონა საყოფაცხოვრებო ნარჩენი, მათ შორის, ქ. მცხეთიდან - 2428 ტონა, სოფლებიდან - 7056 ტონა, ორგანიზაციებიდან - 1673 ტონა.

მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე განთავსებულია სულ 1,1 კუბ.მ ტევადობის 2065 ცალი საყოფაცხოვრებო ნარჩენების პლასტმასის კონტეინერი, მათ შორის, ქ. მცხეთის ტერიტორიაზე - 257 ცალი, სოფლებში - 1640 ცალი, ორგანიზაციებში -150 ცალი; ქ. მცხეთაში განთავსებულია 48 ცალი 50 ლიტრიანი ნაგვის კონტეინერი.

პროგრამის ფარგლებში სისტემატურად, ყოველი წვიმის შემდეგ, ხორციელდებოდა ქალაქ მცხეთის ტერიტორიაზე არსებული 2426 გრძ/მ სანიაღვრე არხებისა და ჭების გაწმენდა წვიმის ნიაღვრისგან ჩამოტანილი ნარჩენებისგან, ასევე გაიწმინდა სანიაღვრე არხი სოფ. საგურამოში, კოკისპირული წვიმის შედეგად ჩამოტანილი ქვიშისა და ნარჩენებისგან. ყოველდღიურად ხდებოდა ქ. მცხეთის სასაფლაოს ტერიტორიის მოვლა-პატრონობა.

03 02 01 მწვანე ნარგავების მოვლა-პატრონობა დაფინანსებულია 191,0 ათასი ლარით, გეგმის - 230,0 ათასი ლარი - 83%.

განხორციელდა მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული 152000 კვ.მ. ფართობის მწვანე საფარის ნორმალური მდგომარეობის შესანარჩუნებლად სისტემატურად ხდებოდა პარკებისა და სკვერების ფერდობების და გაზონების მწვანე ფართობის ტერიტორიების გაკრეჭა-დაფოცხა, მწვანე ნარგავების შემობარვა, ჯამების მოწყობა, ხმელი ხეების მოჭრა, ეკალბარდის გაჩეხა, ბუჩქების და გაზონების გაკრეჭა, მოიჭრა 20 ძირი ამორტიზებული, ავარიულ მდგომარეობაში მყოფი ხე, მთლიანად გაიჩეხა და გაიწმინდა ეკალ-ბარდებისა და გამხმარი ტოტებისაგან ფარნავაზის მოედნიდან მუხათგვერდამდე ცენტრალური გზის მიმდებარე ტერიტორიები და თეატრონის ტერიტორია, ამ სამუშაოების დროს გატანილ იქნა დაახლოებით 263 კუბ.მეტრი ნარჩენი.

03 02 02 მწვანე ნარგავების გაშენება - საანგარიშო პერიოდის გეგმა - 500,0 ათასი ლარი. საანგარიშო პერიოდში ხარჯი არ გაწეულა;

03 04 უპატრონო ცხოველების მოვლითი ღონისძიებები - დაფინანსებულია 22,3 ათასი ლარით, გეგმის - 62,3 ათასი ლარი - 35,8%.

განათლება

საანგარიშო პერიოდში **განათლება** დაფინანსებულია 7 107,7 ათასი ლარით (გეგმური მაჩვენებლის - 8 671,6 ათასი ლარი - 82%) შემდეგ პროგრამებზე:

ათასი ლარი

პროგრამული კოდი	პრიორიტეტი, პროგრამა, ქვეპროგრამა	პერიოდის გეგმა	პერიოდის ხარჯი	სხვაობა, +/-	შესრულება, %
04 00	განათლება	8,671.6	7,107.7	1,563.9	82.0
04 01	სკოლამდელი დაწესებულებების ხელშეწყობა	7,210.2	6,531.6	678.6	90.6
04 04	ზოგადი განათლების (საჯარო სკოლების) ხელშეწყობა	1,461.4	576.1	885.3	39.4

04 01 სკოლამდელი დაწესებულებების ხელშეწყობა დაფინანსებულია 6 531,6 ათასი ლარით, გეგმის - 7 210,2 ათასი ლარი - 90,6%. საანგარიშო პერიოდში დაფინანსდა ა(ა)იპ „მცხეთის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებათა გაერთიანება“.

საანგარიშო პერიოდში ავტორიზაცია მიენიჭა ქ. მცხეთის N6, სოფ. აღდგომლიანთკარის, სოფ. ნატახტრის, სოფ. საგურამოს, სოფ. ციხისძირის, სოფ. მუხრანის N1, სოფ. წეროვნის საბავშვო ბაღებს. გაერთიანებაში შემავალ საბავშვო ბაგა-ბაღებში ირიცხებოდა 1717 აღსაზრდელი, სკოლაში წავიდა 481 აღსაზრდელი.

04 04 ზოგადი განათლების (საჯარო სკოლების) ხელშეწყობა დაფინანსებულია 576,1 ათასი ლარით, (მათ შორის, მიზნობრივი ტრანსფერი 537,9 ათასი ლარი), გეგმური მაჩვენებლის - 1 461,4 ათასი ლარი - 80,5%;

საანგარიშო პერიოდში მიზნობრივი ტრანსფერით დაფინანსდა: საჯარო სკოლების მოსწავლეთა ტრანსპორტით უზრუნველყოფა (363,7 ათასი ლარი) და საჯარო სკოლების რეაბილიტაცია (174,2 ათასი ლარი), კერძოდ: სოფ. მისაქციელის საჯარო სკოლის გათბობის სისტემის რეაბილიტაცია; ქ. მცხეთის N2 და სოფ. წეროვნის N3 საჯარო სკოლებში სახანძრო უსაფრთხოების სისტემის და სიგნალიზაციის დამონტაჟება;

ადგილობრივი ბიუჯეტიდან განხორციელდა საჯარო სკოლების მე-11 და მე-12 კლასის 91 წარჩინებული მოსწავლის წახალისება ფულადი ჯილდოთი;

კულტურა, რელიგია, ახალგაზრდობის ხელშეწყობა და სპორტი

საანგარიშო პერიოდში **კულტურა, რელიგია, ახალგაზრდობის ხელშეწყობა და სპორტი** დაფინანსებულია **3 932,4** ათასი ლარით (გეგმური მაჩვენებლის - 5 156,0 ათასი ლარი - 76,3%) შემდეგ პროგრამებზე:

ათასი ლარი

კოდი	პრიორიტეტი, პროგრამა, ქვეპროგრამა	პერიოდის გეგმა	პერიოდის ფაქტი	სხვაობა, +/-	შესრულება, %
05 00	**კულტურა, რელიგია, ახალგაზრდობის ხელშეწყობა და სპორტი**	**5,156.0**	**3,932.4**	**1,223.6**	**76.3**
05 01	**სპორტის სფეროს განვითარება**	**3,439.2**	**2,488.0**	**951.2**	**72.3**
05 01 01	**სპორტული დაწესებულებების ხელშეწყობა**	**1,708.5**	**1,537.3**	**171.2**	**90.0**
05 01 01 01	ფეხბურთის განვითარების ხელშეწყობა	256.0	238.7	17.3	93.2
05 01 01 02	კანოესა და ნიჩბოსნობის განვითარების ხელშეწყობა	253.1	203.5	49.6	80.4
05 01 01 03	ჭიდაობის განვითარების ხელშეწყობა	470.4	426.3	44.1	90.6
05 01 01 04	სპორტის სხვადასხვა სახეობის განვითარების ხელშეწყობა	231.1	197.3	33.8	85.4
05 01 01 05	საცურაო სპორტის განვითარების ხელშეწყობა	448.0	421.5	26.5	94.1

კოდი	პრიორიტეტი, პროგრამა, ქვეპროგრამა	პერიოდის გეგმა	პერიოდის ფაქტი	სხვაობა, +/-	შესრულება, %
05 01 01 06	რაგბის განვითარების ხელშეწყობა	50.0	50.0	-	100.0
05 01 02	**სპორტული ობიექტების აღჭურვა, რეაბილიტაცია, მშენებლობა**	**1,730.7**	**950.7**	**780.0**	**54.9**
05 02	**კულტურის სფეროს განვითარება**	**1,716.8**	**1,444.5**	**272.4**	**84.1**
05 02 01	**კულტურის დაწესებულებების ხელშეწყობა**	**1,513.5**	**1,269.6**	**243.9**	**83.9**
05 02 01 01	კულტურის და განათლების მულტიფუნქციური ცენტრის ხელშეწყობა	1,491.5	1,250.6	240.9	83.8
05 02 01 04	მუზეუმების ხელშეწყობა	22.0	19.0	3.0	86.4
05 02 03	**კულტურული ობიექტების აღჭურვა, რეაბილიტაცია, მშენებლობა**	**1.4**	**-**	**1.4**	**-**
05 02 05	**კულტურული მემკვიდრეობისა და ტურიზმის განვითარების ხელშეწყობა**	**202.0**	**174.9**	**27.1**	**86.6**

05 01 01 ფეხბურთის განვითარების ხელშეწყობა დაფინანსებულია 238,7 ათასი ლარით, გეგმური მაჩვენებლის - 256,0 ათასი ლარი - 93,2%, საანგარიშო პერიოდში დაფინანსდა ა(ა)იპ „მცხეთის მუნიციპალიტეტის საფეხბურთო სკოლა“.

05 01 02 კანოესა და ნიჩბოსნობის განვითარების ხელშეწყობა დაფინანსებულია 203,5 ათასი ლარით, გეგმური მაჩვენებლის - 253,1 ათასი ლარი - 80,4%, საანგარიშო პერიოდში დაფინანსდა ა(ა)იპ „გიორგი კაპანაძის სახელობის მცხეთის კანოესა და ნიჩბოსნობის აკადემია“;

05 01 01 03 ჭიდაობის განვითარების ხელშეწყობა დაფინანსებულია 426,3 ათასი ლარით, გეგმური მაჩვენებლის - 470,4 ათასი ლარი - 90,6%, საანგარიშო პერიოდში დაფინანსდა ა(ა)იპ „უმაღლესი დაოსტატების მცხეთის ჭიდაობის სკოლა“;

05 01 01 04 სპორტის სხვადასხვა სახეობის განვითარების ხელშეწყობა დაფინანსებულია 197,3 ათასი ლარით, გეგმური მაჩვენებლის - 231,1 ათასი ლარი - 85,4%, საანგარიშო პერიოდში დაფინანსდა ა(ა)იპ „სხვადასხვა სახეობის მცხეთის სასპორტო სკოლა“;

05 01 01 05 საცურაო სპორტის განვითარების ხელშეწყობა დაფინანსებულია 421,5 ათასი ლარით გეგმური მაჩვენებლის - 448,0 ათასი ლარი - 94,1%, საანგარიშო პერიოდში დაფინანსდა ა(ა)იპ „მცხეთის სპორტულ-გამაჯანსაღებელი კომპლექსი“.

05 01 01 06 რაგბის განვითარების ხელშეწყობა დაფინანსებულია 50,0 ათასი ლარით გეგმური მაჩვენებლის - 50,0 ათასი ლარი - 100,0 %, საანგარიშო პერიოდში დაფინანსდა ა(ა)იპ „მცხეთა-მთიანეთის სარაგბო კლუბი „ყაზბეგი“.

05 01 02 სპორტული ობიექტების აღჭურვა, რეაბილიტაცია, მშენებლობა დაფინანსებულია 950,7 ათასი ლარით, გეგმური მაჩვენებლის - 1 730,7 ათასი ლარი - 54,9 %.

საანგარიშო პერიოდში დაფინანსდა: სპორტული მოედნების რეაბილიტაცია; სოფ. ნავდარაანთკარში კრივის დარბაზის მიშენება-რეაბილიტაცია; სოფ. მუხრანში საჭიდაო

დარბაზის ეზოს კეთილმოწყობა; სოფ. გალავანში არჩილ ჩოხელის სახელობის საჭიდაო დარბაზის მიშენება-რეაბილიტაცია; სპორტული მოედნების რეაბილიტაცია მუნიციპალიტეტის სოფლებში: მისაქციელი, ნავაზი, ვაზიანი, ჩარდახი, ძეგვი და ქ. მცხეთაში აღმაშენებლის ქ. N77-ის მიმდებარედ.

05 02 01 01 კულტურის და განათლების მულტიფუნქციური ცენტრის ხელშეწყობა დაფინანსებულია 1 250,6 ათასი ლარით, გეგმური მაჩვენებლის - 1 491,5 ათასი ლარი -83,8 %, საანგარიშო პერიოდში დაფინანსდა ა(ა)იპ „მცხეთის მუნიციპალიტეტის კულტურისა და განათლების მულტიფუნქციური ცენტრი“;

05 02 01 04 მუზეუმების ხელშეწყობა დაფინანსებულია 19,0 ათასი ლარით, გეგმური მაჩვენებლის - 22,0 ათასი ლარი -86,4 %, საანგარიშო პერიოდში დაფინანსდა სსიპ „ილია ჭავჭავაძის საგურამოს სახელმწიფო მუზეუმი“;

05 02 05 კულტურული მემკვიდრეობისა და ტურიზმის განვითარების ხელშეწყობა დაფინანსებულია 174,9 ათასი ლარით, გეგმური მაჩვენებლის - 202,0 ათასი ლარი - 86,6 %, საანგარიშო პერიოდში დაფინანსდა ა(ა)იპ „მცხეთის კულტურული მემკვიდრეობისა და ტურიზმის განვითარების ცენტრი“.

ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა

საანგარიშო პერიოდში **ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა** დაფინანსებულია 1 619,8 ათასი ლარით (გეგმური მაჩვენებლის - 2 337,3 ათასი ლარი - 69,3%) შემდეგ პროგრამებზე:

ათასი ლარი

პროგრამული კოდი	პრიორიტეტი, პროგრამა, ქვეპროგრამა	პერიოდის გეგმა	პერიოდის ფაქტი	სხვაობა, +/-	შესრულება, %
06 00	**ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა**	**2,337.3**	**1,619.8**	**717.5**	**69.3**
06 01	**ჯანმრთელობის დაცვა**	**831.5**	**816.3**	**15.2**	**98.2**
06 01 01	საზოგადოებრივი ჯანდაცვის მომსახურება	231.9	219.6	12.3	94.7
06 01 02	მოქალაქეების მკურნალობის და ოპერაციების ხარჯების დაფინანსება	599.6	596.7	2.9	99.5
06 02	**სოციალური დაცვა**	**1,505.8**	**803.5**	**702.4**	**53.4**
06 02 01	ოჯახებისა და ბავშვების სოციალური დაცვა	1,257.0	572.5	684.5	45.5
06 02 02	ერთჯერადი სოციალური დახმარება	75.0	75.0	-	100.0
06 02 03	ომის ვეტერანთა სოციალური დაცვა, სამშობლოს დაცვისას დაღუპულთა და ომის შემდეგ გარდაცვლილ მეომართა სარიტუალო მომსახურება	2.0	0.8	1.3	37.5

პროგრამული კოდი	პრიორიტეტი, პროგრამა, ქვეპროგრამა	პერიოდის გეგმა	პერიოდის ფაქტი	სხვაობა, +/-	შესრულება, %
06 02 04	დიალიზის სახელმწიფო პროგრამაში ჩართული პირების ფინანსური დახმარება	33.0	27.8	5.2	84.2
06 02 05	ინვესტიციების და ჰუმანიტარული პროექტების გაერთიანების ხელშეწყობა	51.7	48.6	3.1	94.1
06 02 06	მზრუნველობამოკლებულთათვის უფასო სასადილოს დაფინანსება	87.1	78.8	8.4	90.4

06 01 ჯანმრთელობის დაცვა დაფინანსებულია 816,3 ათასი ლარით, გეგმური მაჩვენებლის - 831,5 ათასი ლარის - 98,2%, შემდეგ ქვეპროგრამებზე:

06 01 01 საზოგადოებრივი ჯანდაცვის მომსახურება დაფინანსებულია 219,6 ათასი ლარით, გეგმური მაჩვენებლის 231,9 ათასი ლარი 94,7 %, (მათ შორის, მიზნობრივი ტრანსფერი 147,2 ათასი ლარი) საანგარიშო პერიოდში დაფინანსდა ა(ა)იპ „მცხეთის მუნიციპალიტეტის საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრი"-ს ფუნქციონირებისთვის საჭირო ხარჯები;

06 01 02 მოქალაქეებისათვის მკურნალობის და ოპერაციის ხარჯების დაფინანსება დაფინანსებულია 596,7 ათასი ლარით, გეგმური მაჩვენებლის - 599,6 ათასი ლარი - 99,5 %; საანგარიშო პერიოდში განხორციელდა მოქალაქეების მკურნალობის და ოპერაციის ღირებულების დაფინანსება (347 ბენეფიციარი), აუტისტური სპექტრის და გონებრივი განვითარების შეფერხების მქონე არასრულწლოვანი პირების (43 ბენეფიციარი) ფინანსური დახმარება.

06 02 01 ოჯახებისა და ბავშვების სოციალური დაცვა დაფინანსებულია 572,5 ათასი ლარით, გეგმური მაჩვენებლის 1 257,0 ათასი ლარის 45,5%; საანგარიშო პერიოდში დაფინანსდა: მესამე და მეტი შვილის შეძენაზე 31 ბენეფიციარის ერთჯერადი ფინანსური დახმარება, დღესასწაულებთან (დედის დღე, აღდგომა) დაკავშირებით 2 000 ოჯახის სასურსათო კალათით დახმარება, ცელიაკიით დაავადებული 9 ბენეფიციარის ფინანსური დახმარება, თავშესაფრის არმქონე 3 ოჯახს დაუფინანსდა საცხოვრებელი ფართის ქირის გადასახადი, ჟანგბადის აპარატით მოსარგებლე 6 ბენეფიციარს გაეწია დახმარება ჟანგბადის აპარატით.

06 02 02 ერთჯერადი და სოციალური დახმარება დაფინანსებულია 75.0 ათასი ლარით, გეგმური მაჩვენებლის 100 %;
საანგარიშო პერიოდში ფინანსური დახმარება გაეწია 428 ბენეფიციარს, აქედან 261 ბენეფიციარს - 200 ლარიანი ერთჯერადი დახმარება, ხოლო 228 ბენეფიციარს - 100 ლარიანი ერთჯერადი ფინანსური დახმარება.

06 02 03 ომის ვეტერანთა სოციალური დაცვა, სამშობლოს დაცვისას დაღუპულთა და ომის შემდეგ გარდაცვლილ მეომართა სარიტუალო მომსახურება დაფინანსებულია 0,8 ათასი ლარით, გეგმური მაჩვენებლის - 2,0 ათასი ლარი - 38 %;
საანგარიშო პერიოდში 9 მაისის დღესასწაულთან დაკავშირებით მეორე მსოფლიო ომის ვეტერანს გადაეცა ფინანსური დახმარება 500 (ხუთასი) ლარის ოდენობის, ხოლო სარიტუალო ხარჯები აუნაზღაურდა ერთი ბენეფიციარის ოჯახს 250 (ორას ორმოცდაათი) ლარის ოდენობით.

06 02 04 დიალიზის სახელმწიფო პროგრამაში ჩართული პირების ფინანსური დახმარება დაფინანსებულია 27,8 ათასი ლარით (25 ბენეფიციარი), გეგმური მაჩვენებლის 33,0 ათასი ლარის 84,2 %;

06 02 05 ინვესტიციების და ჰუმანიტარული პროექტების გაერთიანების ხელშეწყობა დაფინანსებულია 48,6 ათასი ლარით, გეგმური მაჩვენებლის (51,7 ათასი ლარი) 94,1 %, საანგარიშო პერიოდში დაფინანსდა ა(ა)იპ „ინვესტიციების და ჰუმანიტარული პროექტების გაერთიანება“.

06 02 06 მზრუნველობამოკლებულთათვის უფასო სასადილოს დაფინანსება (38 ბენეფიციარი) დაფინანსებულია 78,8 ათასი ლარით, გეგმური მაჩვენებლის (87,1 ათასი ლარი) 90,4%; საანგარიშო პერიოდში დაფინანსდა ა(ა)იპ „მცხეთის უფასო სასადილო მზრუნველობამოკლებულთათვის“ (37 ბენეფიციარი).

მმართველობა და საერთო დანიშნულების ხარჯები

საანგარიშო პერიოდში **მმართველობა და საერთო დანიშნულების ხარჯები** დაფინანსებულია 4 022,6 ათასი ლარით (გეგმური მაჩვენებლის - 5 166,3 ათასი ლარი - 77,9%) შემდეგ პროგრამებზე:

ათასი ლარი

კოდი	პრიორიტეტი, პროგრამა, ქვეპროგრამა	პერიოდის გეგმა	პერიოდის ფაქტი	სხვაობა, +/-	შესრულება, %
01 00	მმართველობა და საერთო დანიშნულების ხარჯები	5,166.8	4,022.6	1,144.2	77.9
01 01	საკანონმდებლო და აღმასრულებელი ხელისუფლების საქმიანობის უზრუნველყოფა	5,166.8	4,022.6	1,144.2	77.9
01 01 01	მუნიციპალიტეტის საკრებულო	856.4	778.1	78.3	90.9
01 01 02	მუნიციპალიტეტის მერია	4,275.4	3,233.6	1,041.9	75.6
01 01 04	საჯარო მოხელეთა პროფესიული სწავლება	35.0	11.0	24.0	31.3

01 01 01 მუნიციპალიტეტის საკრებულო - 2026 წლის დაზუსტებული გეგმა - 856,4 ათასი ლარი, საკასო შესრულება - 778,1 ათასი ლარი, შესრულების პროცენტი - 90,9%;
საანგარიშო პერიოდში გაწეულია ფუნქციონირების ხარჯები: შრომის ანაზღაურებაზე მიიმართა 616.5 ათასი ლარი, საქონელსა და მომსახურებაზე - 111.7 ათასი ლარი, სოციალურ უზრუნველყოფაზე - 2.5 ათ. ლარი, სხვა ხარჯებზე - 47.3 ათასი ლარი.

01 01 02 მუნიციპალიტეტის მერია - 2026 წლის დაზუსტებული გეგმა - 4 275,4 ათასი ლარი, საკასო შესრულება - 3 233,6 ათასი ლარი, შესრულების პროცენტი - 75,6%;
საანგარიშო პერიოდში გაწეულია ფუნქციონირების ხარჯები: შრომის ანაზღაურებაზე მიიმართა 2 297.6 ათ. ლარი, საქონელი და მომსახურებაზე - 883.2 ათ. ლარი, სოციალური უზრუნველყოფაზე - 29.8 ათ. ლარი, სხვა ხარჯებზე - 3.9 ათ. ლარი, არაფინანსური აქტივების ზრდაზე - 19.1 ათ. ლარი;

01 01 04 საჯარო მოხელეთა პროფესიული სწავლება - 2026 წლის დაზუსტებული გეგმა - 35.0 ათასი ლარი, საკასო შესრულება - 11.0 ათასი ლარი, შესრულების პროცენტი - 31.3%;